სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/97

ქ. თბილისი 6 ივნისი 2025წ

პროფესიული მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის
და მისი ხელმძღვანლის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის 3 ივნისის #614100 მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 30 მაისის სხდომის ოქმის №4-ის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 6 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს მოკლევადიანი პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრორკალით შემდუღებელი” – პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 15 ადგილით;
2. პროგრამის ხელმძღვანლად დაინიშნოს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი მალხაზ ხუციშვილი;
3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. 4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**